

ლოჯისტიკური სერვისებისა და პროცესების აუთსორსინგის შეფასება და
არსებული გამოწვევები საქართველოში

სალომე გუგუშვილი
ოთარ ნათელაშვილი
ნინო ცისკაძე
ჯგუფი #18

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნეს სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი აბაშიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე გუგეშაშვილი

ოთარ ნათელაშვილი

ნინო ცისკაძე

2019 წელი

აბსტრაქტი

ლოჯისტიკას, როგორც მატერიალური მარაგების მართვას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ლოჯისტიკის როლის ზრდის გამომწვევი უმნიშვნელოვანესი მიზეზი არის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

გლობალური კონკურენციის ზრდის პარალელურად გაიზარდა მოთხოვნა ლოჯისტიკური პროცესების აუტოსორსინგზე, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ ლოჯისტიკურ სერვისს. აღნიშნულმა განაპირობა ბაზარზე ლოჯისტიკური სერვისის პროვაიდერების გამოჩენა, რომელთა მომსახურებით სარგებლობის საფუძველზე გრძელვადიან პერიოდში ხარჯები იწყებს შემცირებას და მიიღწევა კონკურენტული უპირატესობა.

ლოჯისტიკური პროცესების აუტოსორსინგის დახმარებით მიწოდების ჯაჭვის მართვა უფრო მარტივი და ეფექტურია. სერვისის პროვაიდერთან გრძელვადიანი თანამშრომლობის შემთხვევაში კომპანიების არაეფექტურობა იწყებს შემცირებას, შესაძლებლობები კი გაზრდას. შესაბამისად, ჩნდება თანხების დაზოგვის შესაძლებლობაც.

საქართველოს ლოჯისტიკური ბაზრის განვითარება საკმაოდ ნელა მიმდინარეობს და არსებული სერვისის პროვაიდერების რიცხვიც ძალიან მცირეა. დარგის განვითარებას აბრკოლებს არასაკმარისი რაოდენობის ლოჯისტიკური ცენტრები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ლოჯისტიკური სერვისებისა და პროცესების აუტოსორსინგის შეფასება საქართველოში და მისი განვითარებისთვის საჭირო გზების დასახვა. ნაშრომი მოგვცემს საშუალებას ნათლად დავინახოთ არსებული ლოჯისტიკური გამოწვევები საქართველოში, შევაფასოთ ლოჯისტიკური სერვისები და პროცესების აუტოსორსინგი, როგორც კონკურენტუნარიანობისა და ხარჯების შემცირების მიღწევის საშუალება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ლოჯისტიკა, ლოჯისტიკური სერვისები, ლოჯისტიკური პროცესები, ლოჯისტიკური პროცესების აუთსორსინგი.

Abstract

Logistics as managing material resources is especially important. Transition to the market economy is the most important reason for the rise of logistics.

In parallel to global competition growth increased demand for logistics processes outsourcing which is an effective logistics service. Based on this, logistics service providers appeared on the market. By using the mentioned service during the long term, costs start to decrease and customers achieve competitive advantage.

It is easier and more effective to manage supply chain management with the logistics processes outsourcing. In case of long-term cooperation with the service provider inefficiency of companies starts to decrease and opportunities start to increase. Accordingly, customers have also a chance to save money.

Development of logistics market of Georgia is quite slow and the number of existing service providers is very small. Logistics development process is slowed down by insufficient number of logistic centers and inappropriate infrastructure.

Master's thesis is to evaluate logistics services and process outsourcing in Georgia and set the necessary ways for its development. The work will give us a chance to see the existing logistics challenges in Georgia, evaluate logistics services and process outsourcing, as an opportunity to achieve competitiveness and decrease costs.

Key Words: logistics, logistics services, logistics processes, logistics processes outsourcing.